GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 30 Temmuz / ივლისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	9.9 %

Ekonomik Büyümenin Ön Değerlendirmesi
ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება

Ön tahminlere göre Haziran 2021'de bir önceki yılın aynı dönemine göre Gürcistan'ın Gayri Safı Yurtiçi Hasılanın büyümesi %18.7 olarak gerçekleştirdi. 2021 yılının ilk altı ayı içerisinde ortalama büyüme oranı %12.7 dır.

წინასწარი შეფასებით, 2021 წლის ივნისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 18.7 პროცენტი შეადგინა. 2021 წლის პირველი ექვსი თვის ზრდის საშუალო მაჩვენებელი 12.7 პროცენტია.



Ermenistan Ekonomi Bakanının Gürcistan Ziyareti

სომხეთის ეკონომიკის მინისტრის ვიზიტი საქართველოში

Ekonomi Bakanı Natia Turnava, Ermenistan Cumhuriyeti Ekonomi Bakanı Vahan Kerobyan'ı ağırladı. Görüşme sırasında iki ülke arasındaki ekonomi ve ticari ilişkileri; ayrıyeten altyapı, lojistik, nakliye, demiryolu ve enerji projeleri ele alınmıştır.

Ekonomik ilişkilerin daha da güçlendirilmesi toplantının ana konusu oldu, fakat son yıllarda önemli ilerlemenin kaydedildiği vurgulandı.

Turnava'nın dediği gibi pandemi rağmen, ülkeler arasındaki ticaret hacmi bu yılın ilk yarısında önemli ölçüde arttı. Bakan'a göre, ülkeler arasındaki mevcut dostluk ve ortaklık ilişkileri her iki ülkeyi, bölgesel ve beraberlik anlamında, yatırımlar için daha cazip hale getiriyor.

ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრს ვაჰან ქერობიანს უმასპინძლა. შეხვედრისას მხარეებმა ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები; აგრეთვე ინფრასტრუქტურული, ლოგისტიკური, სატრანსპორტო, სარკინიგზო და ენერგეტიკული პროექტები განიხილეს.

საუბარი შეეხო ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაძლიერებას, თუმცა ხაზი გაესვა, რომ ბოლო წლებში ამ კუთხით მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული.

ნათია თურნავას თქმით, პანდემიის მიუხედავად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მინისტრის განმარტებით ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები, ორივე ქვეყანას ერთობლიობაში და რეგიონალურ ჭრილში, გაცილებით უფრო მიმზიდველს ხდის საინვესტიციოდ.

Gürcistan'da E-Ticaret
ელ-კომერცია საქართველოში

Galt & Taggart, Gürcistan'da e-ticaret konusunda yaptığı araştırma sonuçları yayınladı. Araştırmaya göre, 2020 yılında Gürcistan'daki yerel e-ticaret pazarı 3,2 kat artarak 137,9 milyon GEL'e ulaştı. 2018-2020 yılları arasında toplam (yerel ve yabancı) e-ticaretindeki yerel e-ticaretin payısı %23'e yükseldi.
კვლევითმა და საინვესტიციო კომპანია „გალტ & თაგარტმა“ საქართველოში ელექტრონული კომერციის შესახებ კვლევა გამოაქვეყნა. კვლევის თანახმად, 2020 წელს ადგილობრივი ელ-კომერციის ბაზარი საქართველოში 3.2-ჯერ გაიზარდა და 137.9 მლნ ლარი შეადგინა. 2018-2020 წლების პერიოდში ჯამურ (ადგილობრივი და უცხოურ) ელ-კომერციაში მისი წილი 23%-მდე გაიზარდა.

E-ticaret sektörü rakamlarda şöyle görünüyor: E müşteri sayısı - 631 000, Ciro – 597 Milyon, Kişi başı ortalama yıllık cirosu – 950 GEL, Toplam online alışverişinde yerel e-ticaretin payı – %23, Perakende sektöründe yerel e-ticaretin payı – %1.1
ელ-კომერციის სექტორი ციფრებში ასე გამოიყურება: ონლაინ მყიდველი - 631 000, ბრუნვა - 597 მილიონი ლარი, ერთი მომხმარებლის საშუალო წლიური დანახარჯი - 950 ₾, ადგილობრივი ელ-კომერციის წილი ჯამურ ონლაინ შესყიდვებში - 23%, ადგილობრივი ელ-კომერციის წილი საცალო გაყიდვებში - 1.1%

Aşağıdaki grafikte yerel e-ticaret kategorilerinin dağılımı görebilirsiniz:
საქართველოში ადგილობრივი ელ-კომერციის კატეგორიების წილობრივი განაწილება შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ არსებულ გრაფიკზე:



Gürcistan uluslararası E-mağazalarda yerel mağazalardan 3,3 kat daha fazla harcıyor. 2018 – 2012 yıllar arasında yıllık olarak %40.3 artarak 2020 yılında yurtdışı e-ticaret giderleri 459 milyon GEL oldu. Amerikan (Amazon, Ebay), Çin (Taobao, Aliexpress) ve Avrupa (Asos) E-mağazaları, müşterilere düşük fiyatlar, ürün çeşitliliği ve yüksek hizmet kalitesi ile cazip geliyor.
საქართველო 3.3-ჯერ მეტს ხარჯავს საერთაშორისო ონლაინ მაღაზიებში, ვიდრე ადგილობრივში. ელ-კომერციის დანახარჯები საზღვარგარეთ 459 მლნ ლარი იყო 2020 წელს,

და 2018-20 წლებში წლიურად საშუალოდ 40.3%-ით იზრდებოდა. ამერიკული (Amazon, Ebay), ჩინური (Taobao, Aliexpress) და ევროპული (Asos) ონლაინ მაღაზიები მომხმარებელს დაბალი ფასებით, პროდუქციის მრავალფეროვნებითა და მომსახურების მაღალი ხარისხით იზიდავს.

Gürcistan'da Temmuz 2019'dan – Temmuz 2020'ye kadar yetişkin nüfusun %21,3'ü (630.7 bin kişi) mal veya hizmet elektronik ortamda satın aldı. Büyüme eğilime rağmen, Gürcistan'daki e-ticaret yapanların payı gelişmiş ülkelere göre daha düşük.
საქართველოში ზრდასრული მოსახლეობის 21.3%-მა, ანუ 630.7 ათასმა ადამიანმა შეიძინა საქონელი ან მომსახურება ინტერნეტით 2019 წლის ივლისიდან - 2020 წლის ივლისამდე პერიოდში. ზრდის მიუხედავად, საქართველოში ინტერნეტ მოვაჭრეთა წილი ჯერ კიდევ დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

Aşağıdaki grafikte e-ticarette yaş kategorilerinin dağılımı görebilirsiniz:
გრაფიკზე შეგიძლიათ იხილოთ ელ-ვაჭრობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით:



Tahminlere göre, Gürcistan'daki e-ticaret sektörü 2021-25'te 2,2 milyar GEL'e kadar büyütecek ve bu rakamda yerel e-ticaretin payı 1,1 milyar GEL olacak. Sektörün büyümesine aşağıdaki faktörler de katkı sağlayacaktır: 1) E-müşteri sayısının artırması, 2) Kişi başı ortalama ticaret hacmindeki artış, 3) Yerel e-mağazalar tarafından yabancı e-mağazalardan müşteri çekimi.
არსებული პროგნოზით 2021-25 წლებში საქართველოში ელ-კომერციის სექტორი 2.2 მლრდ ლარამდე გაიზრდება, საიდანაც ადგილობრივი ელ-კომერციის ბაზრის წილი 1.1 მლრდ

ლარამდე იქნება. სექტორის ზრდას ასევე ხელს შეუწყობს: 1) ონლაინ მოვაჭრეთა რაოდენობის ზრდა 2) ერთ მომხმარებელზე საშუალო წლიური ონლაინ დანახარჯის ზრდა და 3) ადგილობრივი ონლაინ მაღაზიების მიერ უცხოურ ონლაინ პლატფორმებიდან მოვაჭრეთა მოზიდვა.

Gürcistan'da Pazarlar
ბაზრები და ბაზრობები საქართველოში

Gürcistan İstatistik kurum, ülkenin pazarları hakkında araştırma sonuçları yayınladı. Verilere göre, 2020 yılında belirtilen ticari faaliyeti ile (açık, yarı açık ve kapalı pazar) 201 işletme yer almaktaydı.
Ülke genelinde pazarlar ve pazar tip işletmeler 1,9 milyon metrekarelik alanı kapsıyorlar. Bunların %30,3'ü Tiflis'te, %20,4'ü İmereti'de, %12,4'ü Samegrelo-Zemo Svaneti'de, %11,9'u Kakheti'de, %7,5'i Kvemo Kartli'de, %5.5'i Acara'da, %4,5'i Şida Kartli'de, %3,0'ı Samtshe-Javakheti'de, %1,5 Guria'da, %2,0 - Mtsheta-Mtianeti'de ve %1,0 - Racha-Lechkhumi ve Kvemo Svaneti bölgelerinde yer alıyorlar.

Pazarların %31,8'i gıda dışı, kalan kısmı ise gıda ürünleri ile ticareti yapmaktadır. 2020 yılında pazarların toplam ticaret hacmi 127,9 milyon GEL oldu. Ekonomik faaliyetin %27,2'si, pazar alanında ticaret hakkı için tek seferlik ücrette (34.8 mln gel) geliyor, %67 ise ticaret alanın kiralamaktan elde edilen gelirdir.

Araştırmaya göre günlük ortalama 37,8 bin kişinin ticaret yaptığı pazarlarda toplam 53,9 bin mağaza bulunmaktadır.
საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ქვეყნის ბაზრების შესახებ კვლევა გამოაქვეყნა. მონაცემების თანახმად 2020 წლისთვის აღნიშნული ბიზნეს საქმიანობით (ღია, ნახევრად ღია და დახურული ბაზრები) 201 ეკონომიკური სუბიექტი იყო დაკავებული.
ბაზრობები და ბაზრობის ტიპის საწარმოები ჯამურად 1.9 მლნ. კვადრატულ მეტრ ფართობზე იყო განთავსებული. აქედან 30.3% თბილისშია, 20.4% - იმერეთში, 12.4% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 11.9% - კახეთში, 7.5% - ქვემო ქართლში, 5.5% - აჭარაში, 4.5% - შიდა ქართლში, 3.0% - სამცხე-ჯავახეთში, 1.5% - გურიაში, 2.0% - მცხეთა-მთიანეთში, ხოლო 1.0% - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონებშია განთავსებული.
ბაზრობების 31.8% არასასურსათო, ხოლო დანარჩენი ნაწილი სასურსათო საქონლით ვაჭრობს. 2020 წლისთვის მათმა ჯამურმა სავაჭრო მოცულობამ 127.9 მლნ ლარი შეადგინა. ეკონომიკური საქმიანობის 27.2% ბაზრის ტერიტორიაზე ვაჭრობის უფლების ერთჯერად საფასურზე მოდის, რაც 34.8 მილიონ ლარს უტოლდება. შემოსავლის 67% კი სავაჭრო ფართის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალია. სხვა სახის შემოსავლებზე კი 5.8% მოდის.

კვლევის თანახმად ბაზრობებზე ჯამურად 53.9 ათასი სავაჭრო ადგილია, სადაც დღეში საშუალოდ 37.8 ათასი ადამიანი ვაჭრობს.

Covid – 19

Gürcistan'da günlük Kovid-19 vaka sayısı tekrar yüksek olup günde 2 712'e ulaştı. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 18 257'e ulaştı (ortalama: 2608 kişi/gün). En yüksek günlük oran 27 Temmuz'da kaydedildi – 3 666 hasta. Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 416 338 ulaştı. Can Kaybı – 5793, iyileşenlerin sayısı – 381 246, aktif vaka ise – 29 299. Halihazırda hastanelerde 5547, otellerde ise 1963 kişi tedavi görüyor, 54 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %6,93'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %6.59'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %7.09'e eşittir.

ABD, Gürcistan'a Covid-19'a karşı 500 000 milyon doz Pfizer aşısı taktım etmiştir. Aşı için kayıtlar devam etmektedir. Kayıt portalı: https://booking.moh.gov.ge Gürcistan'da aşı toplam 646 875 kişiye yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 189 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 197 527 098; Can Kaybı – 4 218 245; İyileşen kişi sayısı – 178 649 771. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve Fransa'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის შემთხვევები ისევ მაღალია და დღიურად 2712-ს უტოლდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 18 257-ს უტოლდება -2 608 კაცი საშუალოდ დღეში. ყველაზე მაღალი დღიური მაჩვენებელი 27 ივლისს დაფიქსირდა - 3666 ინფიცირებული. ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.
სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 416 338 შეადგინა, გარდაიცვალა 5793, გამოჯანმრთელდა 381 246, ხოლო 29299 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 5547 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1963 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 54 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 6.93%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 6.59%, ხოლო 7 დღის 7.09%.

აშშ-მ საქართველოს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ნახევარი მილიონი დოზა „ფაიზერის" ვაქცინა აჩუქა. ვაქცინაციაზე რეგისტრაცია უწყვეტად მიმდინარეობს. რეგისტრაციის პორტალი: https://booking.moh.gov.ge საქართველოში ჯამურად აცრა 646 875 ადამიანს ჩაუტარდა.
კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 189 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 197 527 098 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 4 4 218 245, ხოლო გამოჯანმრთელდა 178 649 771 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და საფრანგეთს ჰყავს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.1197 **TRY/GEL** – 0.3667 **EUR/GEL** – 3.7043 **GBP/GEL** – 4.3542

USD/GEL

23 – 30 Temmuz 2021

USD/TRY

23 – 30 Temmuz 2021

TRY/GEL

23 – 30 Temmuz 2021

BTC – 39 695.26

23 – 30 Temmuz 2021